



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 289

თბილისი

„27“ 02 2020წ.

საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთათვის ტესტირების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და ხანგრძლივობის დადგენის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის N25/წ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 27 თებერვლის N251267 მოხსენებითი ბარათისა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2020 წლის 25 თებერვლის N243967 წერილის გათვალისწინებით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთათვის:

ა) ტესტირების ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 6-7 მარტი;

ბ) ტესტირების:

ბ.ა) პირველი სესიის დაწყების დროდ განისაზღვროს - 09:00 საათი (რეგისტრაციის ვადად - 08:00 საათი);

ბ.ბ) მეორე სესიის დაწყების დროდ განისაზღვროს - 16:00 საათი (რეგისტრაციის ვადად - 15:00 საათი);

გ) ტესტირების ხანგრძლივობა განისაზღვროს ოთხი საათით;

დ) ტესტირების ჩატარების ადგილი განისაზღვროს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.


2. საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთათვის, რომლებსაც აქვთ სუსტი მხედველობის პრობლემა, ტესტირებამდე წერილობით მიმართეს სსიპ - განათლების მართვის

საინფორმაციო სისტემას და წარადგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია, ამ ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საგამოცდო დროს დაემატოს 30 წუთი.

3. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).



მიხეილ ჩხენკელი

**საგამოცდო ცენტრები**

1. სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“  
მისამართი: ქალაქი ქობულეთი, რუსთაველის N154
2. სსიპ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“  
მისამართი: ქალაქი თბილისი, გურამ ფანჯიკიძის N3
3. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მისამართი: ქალაქი თბილისი, კოსტავას N68 (I კორპუსი)